

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის
დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა**

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის (გარდა 2008 წელს და 2004 წელს მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში დაღუპული მებრძოლებისა) დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.

მუხლი 2. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

1.პროგრამით მოსარგებლე თითოეული ოჯახი მიიღებს ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 150 ლარის ოდენობით.

2.პროგრამით გათვალისწინებულია 65 (სამოცდახუთი) ოჯახის დახმარება.

მუხლი 3. პროგრამის სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლეთა შერჩევის წესი

1.პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის (გარდა 2008 წელს და 2004 წელს მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში დაღუპული მებრძოლებისა) დაღუპულთა ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ).

2.სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა" და სსიპ "ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან" მიღებული ვეტერანთა სიების საფუძველზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური განსაზღვრავს პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობას. ამასთან პროგრამით დადგენილ დახმარებაში გათვალისწინებული არიან ომში დაღუპულის ოჯახის წევრები, რომლებიც სსიპ "ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის" მიერ მოწოდებულ სიაში არ ფიქსირდებიან (არ გააჩნიათ ვეტერანის მოწმობა), თუმცა შესაბამისი უწყების მიერ მინიჭებული აქვთ ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსი (მოქალაქე განცხადებით წარმოადგენს სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს).

3.გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების ვადა

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. პროგრამის დაფინანსება

1. პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტია 9 750,00 (ცხრა ათას შვიდასორმოდეათი ლარი და 00 თეთრი) ლარი, რომელიც კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ბიუჯეტი	9 750,00 ლარი
I კვარტალი	0 ლარი
II კვარტალი	0 ლარი
III კვარტალი	9 750,00 ლარი
IV კვარტალი	0 ლარი

მუხლი 6. პროგრამის შედეგი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დალუპულთა ოჯახების მატერიალური დახმარება.

მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

წინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი